



სულხან-საბა
ორბელიანის
უნივერსიტეტი



სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი
წლიური ანგარიში
2018-2019 აკადემიური წელი

ელ-ფოსტა: info@sabauni.edu.ge
ვებ-გვერდი: www.sabauni.edu.ge

ტელ: (+995 32) 2 42 22 42

მისამართი: კ. ქუთათელაძის ქ. №3, თბილისი, 0186

შინაარსი

ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი _____	3
სამართლის ფაკულტეტი _____	7
ბიზნესისა და ტურიზმის ფაკულტეტი _____	8
საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური _____	15
სასწავლო პროცესის მართვის სამსახური _____	19
ბიბლიოთეკა _____	22
ხარისხის მართვის სამსახური _____	24
სტუდენტურ საქმეთა სამსახური _____	27
იურიდიული სამსახური _____	33
საზოგადოებასთან ურთიერთობის და მარკეტინგის სამსახური _____	35

ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

დაგეგმილი ღონისძიებების შესრულების ანგარიშის ნაწილში აღსანიშნავია, რომ შესრულდა ყველა დასახული მიზანი. თუმცა, ჩარიცხულთა რაოდენობა შარშანდელთან შედარებით ნაკლებია, როგორც თეოლოგიის, ისე საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამებზე. ამიტომაც, სამუშაო არის ძალიან ბევრი, რათა გაიზარდოს აბიტურიენტთა ნაკადი, და ამავე დროს, შენარჩუნებულ იქნას სტუდენტთა რაოდენობა. ამისათვის დაწყებულია მუშაობა, რაც მდგომარეობს თეოლოგიის მიმართულებით ახალი პროგრამების შემუშავებაში, როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო საფეხურებზე. ასევე, საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის მოდიფიცირებაზე.

2018-2019 სასწავლო წელი ნაყოფიერი იყო ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მიერ ორგანიზებული სხვადასხვა კურიკულუმისა თუ ექსტრაკურიკულუმის ღონისძიებებით: 24.12.2018 სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია „კონფლიქტის ტრანსფორმაცია და სამშვიდობო პროცესები“, 12.12.2018 ტრენინგი-დებატები კარლ პოპერის ფორმატით, 06.12.2018 საერთაშორისო კონფერენცია - რელიგია და ადამიანის უფლებები, 21.11.2018 საჯარო ლექცია-კონფლიქტი აფხაზეთში: ისტორიულ სამართლებრივი ასპექტები, 23-29.07.2018 ბიბლიის საზაფხულო სკოლა: იერემია - მართალი წინასწარმეტყველი, 28.06.2018 საჯარო ლექცია - ეკლესიის სოციალური სწავლება და თანამედროვე გამოწვევები, 14.11.2018 კონფერენცია I მსოფლიო ომი: ისტორიული, პოლიტიკური და სამართლებრივი საკითხები, 16.11.2018 დავით თუთბერიძის საჯარო ლექცია: „კრიშნას ცნობიერების საერთაშორისო საზოგადოებიდან“,

23-31.10.2018 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „მიგრაციის გავლენა სხვადასხვა სფეროზე“ საბაუნისა და კრაკოვის იოანე პავლე მეორის სახელობის პონტიფიკური უნივერსიტეტის ერთობლივი პროექტი/სტუდენტური კონფერენცია მიგრაციის თემაზე. კრაკოვში, მონაწილეობას იღებდნენ: მაგდა მათითაიშვილი, გიორგი გობრონიძე, ნაზი თაქთაქიშვილი, ზურაბ გუნაშვილი; 04-05.10.2018 კონფერენცია „პოლიტიკური, რელიგიური და საზოგადოებრივი კულტურის პოსტ-საბჭოთა გამოცდილება“. სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტისა და გერმანიის აკადემიური გაცვლითი სამსახურის (KAAD) ორგანიზებით; კონფერენციას ინტერდისციპლინარული ხასიათი აქვს, ამიტომ

ყურადღება მიექცა საზოგადოების ტრანსფორმაციის განხილვას, პოლიტიკურ, რელიგიურ თუ კულტურულ ჭრილში;

19-20.10.2018 SOLA FORUM მეორე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, 05-07.06.2018 საერთაშორისო სიმპოზიუმი - კათოლიკური მემკვიდრეობა საქართველოში, 22.05.2018 საჯარო ლექცია „ჰიბრიდული ომი და საქართველოს გამოწვევები“, 19.05.2018 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია პოსტსაბჭოთა ქვეყნები, გამოწვევები, პერსპექტივები, 15.03.2018 საჯარო ლექცია „დისკუსიები საბჭოთა პერიოდის რელიგიური პოლიტიკის შესახებ“.

ლუბლინის იოანე პავლე მეორის კათოლიკური უნივერსიტეტის პროფესორმა, იაროსლავ მარჟევსკიმ ჩაატარა საჯარო ლექცია აკადემიური პერსონალის სასწავლო მობილობის, ერასმუზ + ფარგლებში თემაზე: Religious tolerance in Western Europe in the early Modern Age; Polish model of religious tolerance);

კრაკოვის იოანე პავლე მეორის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორმა, ჯოზეფ სტალამ ჩაატარა საჯარო ლექცია აკადემიური პერსონალის სასწავლო მობილობის, ერასმუზ + ფარგლებში თემაზე: The Role of the Family in Shaping Humanity; The Contemporary Family Local and European Perspectives;

გაიმართა თეოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მეოთხე კურსის სტუდენტის, ბაქარ ქავთარაძის წიგნის პრეზენტაცია: თომა აქვინელის 5 არგუმენტი თეისტური ფილოსოფიის სასარგებლოდ;

გაიმართა ნუგზარ პაპუაშვილის წიგნის - ევანგელურ-ლუთერანული ეკლესიის ისტორიიდან საქართველოში (ქართულ და გერმანულ ენაზე) პრეზენტაცია, ოპონენტი - ნუგზარ ბარდაველიძე;

გაიმართა წიგნის „პოლიტიკური კვლევების მეთოდოლოგია“ პრეზენტაცია, რომელსაც დაესწრნენ საქართველოში პოლონეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, მარიუმ მაშკიევიჩ და წიგნის ორი ავტორი, პროფესორები რომან ბაკერი და მარია ვინცლავსკა. პრეზენტაციის დასასრულს გაიმართა დისკუსია;

ფაკულტეტის სტუდენტებმა: მაგდა მათითაიშვილმა, ზურაბ გუნაშვილმა, მარიამ ჩოხელმა და ნაზი თაქთაქიშვილმა მონაწილეობა მიიღეს ინგლისურენოვან საერთაშორისო

კონფერენციაში „თანამედროვე ამერიკული პროზა“, რომელიც გაიმართა საბაუნში, 2 ივნისს კი მოხსენებებით წარსდგნენ ბაქოში.

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორმა, მ. გაბრიელე ბრაგანტინიმ და თეოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტმა, მარი დოლონაძემ მონაწილეობა მიიღეს ვენაში გამართულ საერთაშორისო კონფერენციასა და სტუდენტურ კვირეულში, რომელიც 23 აპრილიდან 28 აპრილის ჩათვლით ჩატარდა იოანე დამასკელის სახელობის სტუდენტურ სახლში (ვენა, ავსტრია).

საქმიანი კომუნიკაცია დამყარდა შემდეგ ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან:

ადგილობრივი ორგანიზაციები:

1. საქართველოს კარიტასი;
2. ვატიკანის საელჩო;

საერთაშორისო ორგანიზაციები:

1. IFCU – International federation of catholic Universities
2. FUCE – Federation of European Catholic Universities
3. Easter European University Network
4. The John Paul II Catholic University of Lublin (PL)
5. The Pontifical University of John Paul II in Krakow (PL)
6. Kardinal Stefan Wyzcynski University in Warsaw (PL)
7. Jan Dlugosz University in Czestochowa (PL)
8. Akademia Ignatianum w Krakowie (PL)
9. Catholic University of Eichstatt-Ingolstadt (Deu)
10. University of Roma Tre (Italy)
11. Catholic University of Lyon (FR)
12. Ukrainian Catholic University (UA)
13. University of Notre Dame (USA)

2018-2019 სასწავლო წელი დატვირთული იყო ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირებისა და დახვეწის მიმართულებით. კერძოდ, მოდიფიცირდა და

ცვლილება განიცადა თეოლოგიის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებმა, სადაც დაემატა ახალი სასწავლო კურსები, შეიქმნა შესაბამისი სილაბუსები. განახლდა არსებული სასწავლო კურსების სილაბუსები. გადაიხედა და გამრავალფეროვნდა ლიტერატურა. აკადემიურ თანამდებობებზე არჩეული იქნენ პერსონალი შესაბამისი კონკურსის საფუძველზე.

ამავდროულად, შინაარსობრივად მოდიფიცირდა საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა, სადაც დაემატა ახალი სასწავლო კურსები, შეიქმნა შესაბამისი სილაბუსები. განახლდა არსებული სასწავლო კურსების სილაბუსები. გადაიხედა და გამრავალფეროვნდა ლიტერატურა. აკადემიურ თანამდებობებზე არჩეული იქნენ პერსონალი შესაბამისი კონკურსის საფუძველზე.

ფაკულტეტის მოწვეული სპეციალისტის, ლია გელაშვილის ინიციატივით დაიწყო დიპლომატებთან შეხვედრების ციკლი, რომლის ფარგლებში განხორციელდა სხვადასხვა ქვეყნის მოქმედი ელჩების ვიზიტი. მაგალითად, საქართველოსა და სომხეთში წმინდა საყდრის სამოციქულო ნუნციოს (ვატიკანის ელჩი), მისი აღმატებულება ჟოზე აველინო ბეტენკურის საჯარო ლექცია თემაზე “წმინდა საყდარი და საერთაშორისო ურთიერთობები” (27.03.2019); საჯარო ლექცია/შეხვედრა საქართველოში ევროკავშირის ელჩის მოადგილესთან თემაზე "საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები: გამოწვევები და პერსპექტივები თანამედროვე გლობალურ კონტექსტში" (08.05.2019);

ფაკულტეტის ადმინისტრაცია კომპეტენციის ფარგლებში აქტიურად იყო ჩართული საპილოტე, განმავითარებელი ავტორიზაციის მომზადების პროცესში;

სამართლის ფაკულტეტი

სამართლის ფაკულტეტის დეკანმა 2018-2019 სასწავლო წლის მიმდინარეობა და შედეგები დადებითად შეაფასა. სამართლის ფაკულტეტი აქტიურად მუშაობდა სამართლის სამაგისტრო პროგრამის რეკრედიტაციაზე. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 07 თებერვლის N44 გადაწყვეტილებით სამართლის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია. ამავდროულად, დაიწყო სამართლის საბაკალავრო პროგრამისა და სილაბუსების განახლებაზე მუშაობა.

ფაკულტეტის სამეცნიერო კუთხით გაძლიერების მიზნით, მნიშვნელოვანი იყო ქართული გერმანული და შედარებითი კერძო სამართლისა და დანაშაულისა და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ცენტრისა და ენერგეტიკის სამართლისა და კლიმატის ცვლილების ინსტიტუტის შექმნა. სამართლის ფაკულტეტის დეკანი გაუწევს კოორდინაციას, რომ კვლევის ცენტრებმა გაწერონ სამოქმედო გეგმები და საბოლოოდ ანგარიშები წარმოადგინონ.

სამართლის ფაკულტეტის დეკანის კონტაქტებით სამართლის სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღეს კიოლნის უნივერსიტეტში დაგეგმილ საზაფხულო სკოლაში სისხლის სამართლის თემატიკაზე.

აქტიურად მიდიოდა მუშაობა სტუდენტების ჩართვაზე სამეცნიერო კონფერენციებში. ჩატარდა საუნივერსიტეტო სტუდენტური კონფერენცია. სამართლის ფაკულტეტის სტუდენტი საბაუნის სახელით წარსდგა ილიაუნის მიერ ორგანიზებულ კონფერენციაზე „სამოქალაქო და სამეწარმეო სამართლის აქტუალურ და პრობლემურ საკითხებზე“. სამართლის სტუდენტები მოხსენებებით წარსდგნენ მიგრაციის საკითხებზე კრაკოვის სამეცნიერო კონფერენციაზე. ყოველივე ეს ემსახურება სტუდენტების კვლევითი საქმიანობის წახალისებას.

წინა წლების მსგავსად, სტუდენტური პროექტების კუთხით საკმაოდ აქტიური წელი იყო. ფაკულტეტი მუდამ ზრუნავს სტუდენტების განვითარებაზე.

ბიზნესისა და ტურიზმის ფაკულტეტი

2018-2019 წწ. სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესისა და ტურიზმის ფაკულტეტზე მოქმედებდა ბიზნესის ადმინისტრირების ქართულ ენოვანი, ბიზნეს ადმინისტრირების ინგლისურ ენოვანი და ტურიზმის საბაკალავრო პროგრამები, ბიზნეს ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა. პროგრამების წარმატებით განხორციელებისა და სწავლის პროცესში სტუდენტთა მაქსიმალური ჩართულობის მიზნით ჩატარდა ფაკულტეტის საბჭოს 20 სხდომა.

აკრედიტაციის ახალი სტანდარტების გათვალისწინებით და პირობითი აკრედიტაციის მინიჭების დროს აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების, ასევე შრომის ბაზრის კვლევისა და სტუდენტების ინტერესების საუკეთესოდ გათვალისწინების მიზნით დაიგეგმა ბიზნეს ადმინისტრირების პროგრამის მოდიფიცირება. სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან, პროფესორებთან ჩატარებული ინტერვიუებისა და ანალიზის საფუძველზე გამოვლენილი რეკომენდაციებისა და რჩევების საფუძველზე მომზადდა ცვლილებების პაკეტი და საბოლოოდ, პროგრამაში განხორციელდა ძირეული ცვლილებები:

- შეიცვალა სილაბუსები ახალი სტანდარტების მიხედვით;
- შეიცვალა დატვირთვის ბაღე კონკრეტულ საგნებში;
- გაიზარდა ტექნიკურ საგნებში საკონტაქტო საათების რაოდენობა;
- დაზუსტდა სასწავლო კურსების წინაპირობები;
- პროგრამას დაემატა საუნივერსიტეტო სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები;
- ბიზნესისა და მენეჯმენტის მიმართულების გაძლიერების თვალსაზრისით პროგრამას დაემატა სავალდებულო სასწავლო კურსები;
- ბიზნეს ადმინისტრირების პროგრამას დაემატა არჩევითი საგნები, რამაც პროგრამა პრაქტიკული თვალსაზრისით გააძლიერა;
- შეიცვალა ძირითადი საგნების სემესტრები, პროგრამაში სასწავლო კურსების უფრო ლოგიკური თანმიმდევრობით დალაგების მიზნით;

საბოლოოდ ბიზნეს ადმინისტრირების ქართულენოვანმა საბაკალავრო პროგრამამ ყველა პროცესი წარმატებით გაიარა და მიიღო სრული 7 წლიანი აკრედიტაცია.

ბიზნეს ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის პირობითი აკრედიტაციის დროს მიღებული რეკომენდაციების საფუძველზე მომზადდა ცვლილებების პაკეტი და პროგრამაში განხორციელდა ცვლილებები. კერძოდ:

- გაძლიერდა მენეჯმენტ-მარკეტინგის მოდული და დაემატა ახალი სასწავლო კურსები;
- სასწავლო კურსებში ინტეგრირდა კვლევის კომპონენტი;
- გაძლიერდა საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულება;
- გადაიხედა პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები.

ბიზნეს ადმინისტრირების ინგლისურენოვანმა საბაკალავრო პროგრამამ ყველა პროცესი წარმატებით გაიარა და მიიღო სრული 7 წლიანი აკრედიტაცია.

გაზაფხულის სემესტრში ბაკალავრიატის საფეხურის დამამთავრებელი კურსის სტუდენტებს სავალდებულო კომპონენტის - პრაქტიკის დაცვის მიზნით, სავალდებულო სტუდენტებს მიეცათ ფართო არჩევანის შესაძლებლობა, სურვილის მიხედვით გაევიდნენ პრაქტიკა სასურველ ობიექტზე. მათ სემესტრის ბოლოს წარმოადგინეს ანგარიშები და პრაქტიკის საჯარო დაცვა განხორციელდა კომისიის წინაშე.

გაზაფხულის სემესტრის დამამთავრებელი კურსის სტუდენტებისთვის სავალდებულო კომპონენტის - საბაკალავრო ნაშრომის დაცვის მიზნით, სემესტრის დასაწყისშივე მოხდა სტუდენტების მხრიდან სასურველი მიმართულების, ხელმძღვანელისა და პროექტის არჩევა. სემესტრის დასრულებისას სტუდენტებმა საბაკალავრო პროექტები წარმოადგინეს საჯარო დაცვაზე.

ფაკულტეტზე გამოვლინდა 9 სტიპენდიანდი, წინა სემესტრის სემესტრული მაჩვენებლების მიხედვით (ფაკულტეტზე მოქმედებს საბას სსტიპენდია, ბაზისბანკის სტიპენდია და ფაკულტეტის სტიპენდია).

აღსანიშნავია, რომ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამას 2019 სასწავლო წელს ჰყავს 22 კურსდამთავრებული, ხოლო ტურიზმის საბაკალავრო პროგრამას 2019 წელს ჰყავს 23 კურსდამთავრებული.

კურიკულუმს გარე აქტივობები

ბიზნესისა და ტურიზმის ფაკულტეტი ერთ-ერთი ყველაზე აქტიურია კურიკულუმს გარე აქტივობებით, რომლებშიც სტუდენტები დიდი ინტერესით ერთვებიან და ცდილობენ პრაქტიკული უნარების განვითარებას. ფაკულტეტის ქართველი და უცხოელი სტუდენტები სასწავლო ვიზიტით იმყოფებოდნენ:

- სასტუმრო Rooms Hotel, ყაზბეგში, შეხვედრა გამართეს სასტუმროს გენერალურ დირექტორთან და მიიღეს ინფორმაცია მათთვის საინტერესო კითხვებზე;
- კომპანიაში „სარაჯიშვილი“;
- კომპანიაში „ზედაზენი“;
- სასტუმროში „მოქსი“;
- საქართველოს პარლამენტში.

ბიზნესისა და ტურიზმის ფაკულტეტის და „ახალი ეკონომიკური სკოლა-საქართველოს“ თანამშრომლობის ფარგლებში უნივერსიტეტში გაიმართა

- პრეზენტაცია თემაზე „საქართველო მსოფლიო ეკონომიკური თავისუფლების რეიტინგში“ (საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მხარდაჭერით);
- კვლევის საჯარო პრეზენტაცია თემაზე „საქართველოს მუნიციპალიტეტების ინდექსი 2018 (ფრიდრიხ ნაუმანის ფონდი თავისუფლებისთვის სამხრეთ კავკასიის ოფისის მხარდაჭერით).

ჩატარდა არა ერთ საჯარო ლექცია და ტრენინგი ქართველი და უცხოელი ტრენერების, პიარის სპეციალისტების, ბიზნესმენების მონაწილეობით. მათ შორის:

- საჯარო ლექცია თემაზე - „საზოგადოებასთან ურთიერთობების მნიშვნელობა წარმატებული საქმიანობისათვის“ (გოდერძი შარაშია);
- საჯარო ლექცია თემაზე „საზოგადოება და პოლიტიკა“ (ეკატერინე მიშველაძე);
- საჯარო ლექცია თემაზე: „ტურიზმი და ეროვნული საგანძური“ (გიორგი კალანდია);
- საჯარო ლექცია თემაზე „ქართული ბრენდების შექმნის ისტორიები“ (ოთარ ნაჭყებია);

- საჯარო ლექცია თემაზე „პოლიტიკა და პიარი“ (ნოდარ მელაძე);
- საჯარო ლექცია თემაზე „საქართველოს ტურიზმის სტატისტიკური მიმოხილვა“ (გიორგი ბრეგაძე, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია);
- საჯარო ლექცია თემაზე „მოგზაურობიდან ტურისტულ კომპანიამდე“ (დავით გოროზია);
- საჯარო ლექცია თემაზე: „უძრავი ქონების მომსახურება ტურიზმში“ (ნინო მაკასარაშვილი, კოლიერსინტერნეიშენალ ჯორჯია);
- სემინარი თემაზე „მულტიკულტურული ქცევა და ღირებულებები“ (ანაპიტ მხოიანი).
- ტრენინგი თემაზე „თვითმენეჯმენტი და კარიერის მართვა“ (დავით პიტიურიშვილი);
- სემინარი თემაზე „კარიერის მართვა და განვითარება“ (დავით პიტიურიშვილი)
- საჯარო ლექცია თემაზე „საერთაშორისო ვაჭრობა და პერსპექტივები საქართველოში (ეკ. დოქტორი, პროფ. კრისტოფერ ლინგლი(აშშ)
- პანელური დისკუსია თემაზე - „სტარტაპები და მათი გამოწვევები საქართველოში“.
-

საერთაშორისო თანამშრომლობისა და კვლევითი პროექტები

ბიზნესისა და ტურიზმის ფაკულტეტსა და გერმანიის კიოლნის ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის გაფორმდა მემორანდუმი თანამშრომლობის შესახებ, რომლის ფარგლებშიც გერმანელმა პროფესორმა ჰ.გ.ლინდნერმა ჩაატარა ინტენსიური ტრენინგ კურსი „საკონსულტაციო და საინფორმაციო სისტემები“, ასევე დაიგეგმა სამომავლო თანამშრომლობის საკითხები ერთობლივი საზაფხულო სკოლებისა და კვლევების მიმართულებით.

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი 2019 წლის აპრილში მასპინძლობდა გლობალურ კონფერენცია-ფორუმს „თავისუფალი ბაზრის გზამკვლევი“. ფორუმი ყოველწლიურად ტარდება ევროპისა ყველა ქალაქში ავსტრიული ეკონომიკური სკოლის კვლევის ცენტრის (ავსტრია) ორგანიზებით. 2019 წელს ფორუმს თბილისში უმასპინძლა ბიზნესისა და ტურიზმის ფაკულტეტმა. პარტნიორი ორგანიზაციები იყვნენ ფრიდრიხ

ნაუმანის ფონდი თავისუფლებისთვის (გერმანია), ახალი ეკონომიკური სკოლა - საქართველო. ამასთან, კონფერენციაში მონაწილეობა მიღეს და სხვადასვა პანელებს მოდერირებას უწევდნენ ფაკულტეტის დეკანი პროფ. თამთა მიქაბერიძე, და ფაკულტეტის აფილირებული ლექტორი გიორგი ჩხიკვაძე. კონფერენცია გახსნა უნივერსიტეტის რექტორმა პროფ. ვაჟა ვარდიძე.

2018 წლის იანვარში ბიზნესისა და ფაკულტეტის ბაზაზე დაარსდა განვითარების კვლევებს ინსტიტუტი (Institute for Development Studies (IDS)), რომლის პრიორიტეტია განვითარების ეკონომიკური (მათ შორის, ბიზნესისა და ტურიზმის) ასპექტების კვლევა. IDS მიზნად ისახავს წვლილი შეიტანოს განვითარების კვლევების საქმეში და დაამყაროს აკადემიური კავშირები ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე. შედეგად, 2019 წლის გაზაფხულზე:

- ინიცირდა საფრანგეთის ლილის კათოლიკურ უნივერსიტეტთან თანამშრომლობა (გაფორმდა ხელშეკრულება);
- ინიცირდა ყაზახეთის ყიზილორდას უნივერსიტეტთან თანამშრომლობა (გაფორმდა ხელშეკრულება).

ინსტიტუტის ფარგლებში რეგულარულად ტარდება განვითარების სამეცნიერო-პრაქტიკული სემინარები. პირველი სემინარი ჩატარდა თემაზე

- განვითარების ნორვეგიული გამოცდილების გაზიარებია (Economic Development of Norway. Are there lessons to be learned?) სემინარს უძღვებოდა ნორვეგიის ოსტფოლდის საუნივერსიტეტო კოლეჯის პროფესორი როსვიტა მარია კინგი (მაისი, 2019) .

დიდი წინსვლაა ფაკულტეტზე საერთაშორისო თანამშრომლობის კუთხით. კერძოდ: ბიზნესის და ტურიზმის ფაკულტეტის სტუდენტები ლუკა ალავიძე და საბა ჩიტანი მონაწილეობდნენ საერთაშორისო სტუდენტურ კონფერენციაში Ayn Rand Student Conference Europe 2019: Individualism in an Age of Tribalism (პრაღა, ჩეხეთი)

ბიზნესისა და ტურიზმის ფაკულტეტის სტუდენტები ია კიწბაბაშვილი (მაგისტრატურა), თამარ თოდბე (ბაკალავრიატი) და ანა გავაშელი (ბაკალავრიატი)

მონაწილეობდნენ საერთაშორისო კონფერენციაში „მიგრაციის ზეგავლენა სხვადასხვა სფეროებზე“ (კრაკოვი, პოლონეთი).

ბიზნესისა და ტურიზმის ფაკულტეტის ქართველი და უცხოელი სტუდენტები წინა ქებურია, გვანცა სინატაშვილი, სანდრო გობეჯიშვილი, იოსებ ანიჯუნსი ჩუკუეზუკუ, სოლომონ არაზუ აგაფენაჩუკუ მონაწილეობდნენ საერთაშორისო კონფერენციაში - „თანამედროვე ამერიკული პროზა“ (ბაქო, აზერბაიჯანი).

განსაკუთრებით აქტუალურია უნივერსიტეტსა და ბიზნესისა და ტურიზმის ფაკულტეტზე Erasmus + გავლითი პროგრამები, როგორც აკადემიური პერსონალი, ასევე სტუდენტებისთვის.

- ✓ ბიზნეს ადმინისტრირების სტუდენტებმა ანა გავაშელმა და ხათუნა მხოიანმა Erasmus + ფაგრლებში გაცვლით პროგრამით გაზაფხულის სემესტრზე სწავლა გააგრძელეს ვალიადოლის უნივერსიტეტში (ესპანეთი).
- ✓ ბიზნესისა და ტურიზმის ფაკულტეტის დეკანი პროფ. თამთა მიქაბერიძე და განვითარების კვლევების ინსტიტუტის დირექტორი პროფ.წინო პაპაჩაშვილი Erasmus + აკადემიური მობილობის ფარგლებში იმყოფებოდნენ პოლონეთში ლუბლინის იოანე პავლე მეორის კათოლიკურ უნივერსიტეტში (პოლონეთში);
- ✓ ბიზნესისა და ტურიზმის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი დიმიტრი კობახიძე Erasmus + აკადემიური მობილობის ფარგლებში იმყოფებოდა ლოდის უნივერსიტეტში (პოლონეთი).
- ✓ Erasmus+ K2 - STAR Project – „Learner Centred Teaching – a course for innovative teachers ფარგლებში ტრენინგები ჩაატარეს სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მეთოდებში ბიზნესის და ტურიზმის ფაკულტეტის პროფესორებმა: ეკატერინე ნაცვლიშვილმა, თამთა მიქაბერიძემ, მარინე თავართქილაძემ.

ასევე, საერთაშორისო ინტერნაციონალიზაციის პროცესის გაძლიერების კვალდაკვალ ბიზნესისა და ტურიზმის ფაკულტეტის პროფესორებმა თამთა მიქაბერიძემ, წინო პაპაჩაშვილმა, მარინე თავართქილაძემ მონაწილეობა მიიღეს:

- საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში „მსოფლიო ეკონომიკა 2019 - ვისწავლოთ წარსულიდან და განვჭვრიტოთ მომავალი“ (ვარშა, პოლონეთი. მსოფლიო ეკონომიკის კოლეგიუმი; ვარშავის ეკონომიკური სკოლა);
- საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში: “Monetary and Economic Scientific conference – New Realities in the EU and the place of Balkan countries” (სოფია, ბულგარეთი).

აღსანიშნავია ჩვენი პროფესორების წარმატება - პროფესორებმა მ.თავართქილაძემ და ნ.პაპაჩაშვილმა მოიპოვეს შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ინდივიდუალური სამოგზაურო გრანტი/სტიპენდიები.

საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური

წარმოგიდგენთ 2018-2019 წელს უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიით გათვალისწინებული აქტივობების ანგარიშს.

სტუდენტებისა და პერსონალის საერთაშორისო მოხილობის ხელშეწყობა, გაცვლითი პროგრამები

მიმდინარე აკადემიურ წელს უცხოეთის უნივერსიტეტებში სასწავლებლად (ერთი სემესტრით და მოკლე ვადით) საბაზუნიდან მონაწილეობა მიიღო 11(თერთმეტმა) სტუდენტმა

1. მარი კუტალაძე და
2. ნელი გოგივანა (სამართალის ფაკულტეტი) იმყოფებოდნენ ლიონის კათოლიკურ უნივერსიტეტში (საფრანგეთი) Erasmus+ KA107
3. გიორგი ჯანაშვილი (სამართალის ფაკულტეტი) იმყოფებოდა 2018-2019 წლის გაზაფხულის სემესტრი ლუბლინის კათოლიკურ უნივერსიტეტში (პოლონეთ) Erasmus+ KA107 ით
4. მარიამ ხუროშვილი (სამართალი, ბაკალავრი), იმყოფებოდა 2018-2019 წლის შემოდგომის სემესტრზე ლუბლინის კათოლიკურ უნივერსიტეტში გაცვლითი პროგრამით
5. ანი გავაშელი და
6. ხათუნა მხოიანი (ბიზნესი, ბაკალავრი) იმყოფებოდნენ ვალიადოლიდის უნივერსიტეტში 2018-2019 გაზაფხულის სემესტრზე Erasmus+ KA107 ით
7. მარიამ აბუაშვილი და
8. ხატია ხაფავა (სამართალი, ბაკალავრი) 2019 წლის 8-12 ივლისს მონაწილეობას მიიღებენ იტალიაში, ქალაქ გუბიოში (ლუმსას უნივერსიტეტი) გამართულ საზაფხულო სკოლაში „ევროპული ჰუმანიზმი ჩამოყალიბების პროცესში“, რომელიც ორგანიზებულია FUCE ს მიერ
9. რუსუდან ლაგაზაშვილი,
10. ხატია მასურაძე და

11. ანი გამსახურდია (სამართალი, ბაკალავრი და მასტერი), 2019 წლის 21-28 ივლისს მონაწილეობა მიიღეს კიოლნის უნივერსიტეტში (გერმანია) გამართულ საზაფხულო სკოლაში (თეთრი საყელოების სამართალი)

მობილობით წასული აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა - 22 (ოცდაორი), მათ შორის:

მიმდინარე წელს საბაუნის სამმა (3) აკადემიურმა და ოთხმა (4) ადმინისტრაციულმა პერსონალმა ისარგებლა უცხოეთში Erasmus+ პროგრამით

1. ნინო პაპაჩაშვილი (ბიზნესი, აკ. მობილობა) ლუბლინის კათოლიკური უნივერსიტეტი (პოლონეთი)
2. თამთა მიქაბერიძე (ბიზნესი, ადმ. მობილობა), ლუბლინის კათოლიკური უნივერსიტეტი (პოლონეთი)
3. დიმიტრი კობახიძე (ბიზნესი) ლოდის სოციალურ მეცნიერებათა უნივერსიტეტი (პოლონეთი)
4. ვაჟა ვარდიძე (თეოლოგია, აკ. მობილობა) კრაკოვის პონტიფიკური უნივერსიტეტი (პოლონეთი)
5. სალომე ქარცივაძე (სამართალი, ადმ. მობილობა) კრაკოვის პონტიფიკური უნივერსიტეტი (პოლონეთი)
6. ლაშა მიქაძე (ბიზნესი, ადმ. მობილობა) კრაკოვის პონტიფიკური უნივერსიტეტი (პოლონეთი)
7. შორენა პარუნაშვილი (საერთაშორისო ურთიერთობები, ადმ. მობილობა) ლიონის კათოლიკური უნივერსიტეტი

ხოლო 15 აკადემიურმა და ადმინისტრაციულმა პერსონალმა ისარგებლა სამუშაო მივლინებით (კონფერენციები, პროექტის შეხვედრები, ვიზიტები)

ჩამომსვლელი პროფესორები:

8 (რვა) ჩამომსვლელი პროფესორი და ადმინისტრაციული პერსონალი, მათ შორის 4 ერასმუს+ პროგრამით

საერთაშორისო ქსელებში გაწევრიანება, პარტნიორობის გაფართოება განსაკუთრებით საერთო ინტერესების მქონე უნივერსიტეტებთან

2018-2019 აკადემიურ წელს საბაუნიმ გააფორმა **6 (ექვსი)** საერთაშორისო თანამშრომლობის მემორანდუმი

1. აკადემია იგნატიანუმი -(პოლონეთი)
2. იან დლუგოშჩის უნივერსიტეტი ჩესტოხოვაში (პოლონეთი)
3. ალფრედ ნობელის უნივერსიტეტი დნეპრში (უკრაინა)
4. კიოლნის ტექნოლოგიების უნივერსიტეტი (გერმანია)
5. ლილის კათოლიკური უნივერსიტეტი (საფრანგეთი)
6. კოტიკ ატა კიზილორდას უნივერსიტეტი (ყაზახეთი)

საბაუნეში ჩატარდა: 5 (ხუთი) საერთაშორისო კონფერენცია

აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა

საბაუნის 1 აფილირებულმა პროფესორმა, ირმა ტალახაძემ მოიპოვა საბაუნის მიერ შეთავაზებული სლოვაკეთის სახელმწიფოს კვლევითი გრანტი (სამი თვე) რუჟომბეროკის კათოლიკურ უნივერსიტეტში

25 მონაწილეობა, როგორც ადგილობრივ, ასევე, უცხოეთში გამართულ კონფერენციებში (13 პროფესორი)

Erasmus+ KA2 „სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება- მოწინავე რესურსები საქართველოსა და ჩინეთისათვის“ STAR- პროექტი უახლოვდება დასასრულს. ამ პროექტის ფარგლებში უნივერსიტეტში დაფუძნდა პროფესიული განვითარების ცენტრი, რომლის მიზანია აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისათვის კარიული განვითარების ხელშეწყობა სხვადასხვა სახის ტრენინგების შეთავაზებით. ასევე, შეიქმნა სტუდენტზე ორიენტირებული მეთოდის სახელმძღვანელო, რომელიც ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ გვერდზე როგორც ქართულად, ასევე ინგლისურად. აქვეა, ონლაინ პლატფორმაც, რომელიც დაინტერესებულ პირებს საშუალებას მისცემს მიიღონ დამატებითი ინფორმაცია სწავლების თანამედროვე მეთოდების შესახებ, ხოლო ფორუმის ფორმატი საშუალებას იძლევა დასვან კითხვები, კომენტარები და ასე შემდეგ. ამ პროექტის

ფარგლებში, 2018 წლის ოქტომბერში, სამ დღიან ტრენინგზე გადამზადდა საბაუნის 5 (ხუთი) პროფესორი, რომელთაც მოგვიანებით ჩაუტარეს ტრენინგი ჩვენს აკადემიურ პერსონალს. ჩატარდა რამდენიმე ტრენინგი, სადაც მონაწილეობდნენ არა მხოლოდ საბაუნის, არამედ სხვა ქართლი უნივერსიტეტების პროფესორებიც. საერთო რაოდენობა 70-80 ადამიანი. გარდა ამისა, პროექტის მონაწილეებმა ტრენინგი ჩაუტარეს სამცხე ჯავახეთის უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს (40 პროფესორი).

მაისში, ილიას უნივერსიტეტში გამართულ საკონტაქტო სემინარზე გამოიკვეთა ლინცის კათოლიკურ უნივერსიტეტთან თანამშრომლობის რეალური პერსპექტივები.

ასევე, ერასმუს+ ფარგლებში დაგეგმილია 3 სტუდენტის მობილობა და 3 პერსონალის.

სასწავლო პროცესის მართვის სამსახური

2018-2019 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრით, 2018 წლის საშემოდგომო სემესტრში სწავლა დაიწყო 17 სექტემბერს. (აუდიტორიული მეცადინეობები 17 სექტემბერი - 30 დეკემბერი) სწავლის დაწყებამდე სტუდენტებმა გაიარეს აკადემიური/ადმინისტრაციული რეგისტრაცია, რის შემდეგაც სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ ბაზაში აეტივრთათ სალექციო-სასემინარო ცხრილი. პირველკურსელთა რეგისტრაციაზე გამოცხადებული სტუდენტებიდან საბაკალავრო საფეხურზე ჩაირიცხა 127 სტუდენტი:

1. სამართალი : - 53
2. ტურიზმი : -43
3. ბიზნესის ადმინისტრირება: -14
4. საერთშორისო ურთიერთობები: - 10
5. თეოლოგია : - 2
6. ბიზნესის ადმინისტრირება (ინგლისურენოვანი) : 5

ხოლო მაგისტრატურის საფეხურზე ჩაირიცხა 45 სტუდენტი:

1. სამართალი : 37
2. თეოლოგია: -1
3. ბიზნესის ადმინისტრირება : -7

შიდა მობილობით ისარგებლა 7 სტუდენტმა ხოლო გარე მობილობით გადმოვიდა 20 სტუდენტი, რიგგარეშე მობილობით ჩაირიცხა 11 სტუდენტი.

2018 წლის 5 ოქტომბერს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურმა საფინანსო სამსახურს მიაწოდა მიმდინარე სემესტრში დამატებით კრედიტებზე რეგისტრირებული სტუდენტების სახელობითი სია, გადასახდელი კრედიტების რაოდენობის მითითებით.

ელექტრონულ ჟურნალში გატარდა სტუდენტებთან დადებული განათლების მომსახურების ხელშეკრულებები, ჟურნალი დაიხურა და აიკინმა 2018 წლის 2 ოქტომბერს 35 ფურცლად

2018 წლის საშემოდგომო სემესტრის შუალედური გამოცდები დაიწყო 5 ნოემბრიდან და გაგრძელდა 17 ნოემბრამდე. ამ პერიოდის განმავლობაში წერითი გამოცდა სასწავლო პროცესის მართვის სამსახურმა ჩაატარა 84 სასწავლო კურსში, ლექტორების მხრიდან გამოცდა ჩატარდა 56 სასწავლო კურსში.

სემესტრის დაწყებიდან დასრულებამდე, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურმა შემოსული განცხადებების საფუძველზე გასცა ცნობები, როგორც სტუდენტის სტატუსის შესახებ ასევე ფორმა 26. ცნობები გაიგზავნა მოთხოვნის შესაბამისად.

ასევე აკადემიური კალენდრით განისაზღვრა ფინალური და დამატებითი დასკვნითი გამოცდების ცხრილი.

დასკვნითი გამოცდები ჩატარდა 21 იანვრიდან-2 თებერვლის ჩათვლით . წერითი გამოცდა სასწავლო პროცესის მართვის სამსახურმა ჩაატარა 97 სასწავლო კურსში, ლექტორების მხრიდან გამოცდა ჩატარდა 56 სასწავლო კურსში. დამატებითი დასკვნითი გამოცდები დაიგეგმა 4 თებერვლიდან -16 თებერვლის ჩათვლით და წერითი გამოცდა სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის მიერ დაიგეგმა 73 სასწავლო კურსში , ხოლო ლექტორების მხრიდან განხორციელდა 26 სასწავლო კურსში.

2018-2019 სასწავლო წლის საშემოდგომო სემესტრის უწყისები დაიბეჭდა 20 თებერვალს, ჟურნალი აიკინმა და დაიხურა 4 მარტს 11 ფურცლად.

საშემოდგომო სემესტრში სწავლა დაასრულა და კვალიფიკაცია მიენიჭა სამართლის საბაკალავრო საფეხურის 13 და სამაგისტრო საფეხურის 2 სტუდენტს.

2018-2019 სასწავლო წლის საგაზაფხულო სემესტრი დაიწყო 18 თებერვალს, რომელიც გაგრძელდა 1 ივნისის ჩათვლით. საშემოდგომო სემესტრში მიდინარე პროცესები იდენტურია საგაზაფხულო სემესტრში მიმდინარე პროცესებისა. მოხდა სტუდენტების რეგისტრაცია საგნებზე სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ ბაზაში ავტომატურად ლექცია-სემინარების ცხრილი.

2019 წლის 1 მარტს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურმა საფინანსო სამსახურს მიაწოდა მიმდინარე სემესტრში დამატებით კრედიტებზე რეგისტრირებული სტუდენტების სახელობითი სია, გადასახდელი კრედიტების რაოდენობის მითითებით. დაიგეგმა და განხორციელდა შუალედური გამოცდები რომელიც, მიმდინარეობდა 8-20 აპრილის პერიოდში. სასწავლო პროცესის მართვის სამსახურმა წერიტი ფორმით 69 სასწავლო კურსში ჩაატარა გამოცდა, ხოლო დანარჩენ 63 სასწავლო კურსში გამოცდა ჩატარდა ლექტორების მიერ.

რაც შეეხება ფინალურ გამოცდებს აკადემიური კალენდრით მიმდინარეობდა 17 ივნისიდან 29 ივნისის ჩათვლით. წერიტი ფორმით გამოცდა ჩატარდა 62 სასწავლო კურსში, ხოლო ლექტორების მხრიდან 63 სასწავლო კურსში.

2018-2019 სასწავლო წელი დასრულდა 6 ივლისს.

2018-2019 სასწავლო წელს სწავლა დაასრულა და კვალიფიკაცია მიენიჭა 155 სტუდენტს:

1. თეოლოგიის ბაკალავრი -2
2. ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი -22
3. ტურიზმის ბაკალავრი -23
4. ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი - 1
5. სამართლის ბაკალავრი - 85
6. სამართლის მაგისტრი -22

2018-2019 სასწავლო წლის საგაზაფხულო სემესტრის უწყისები დაიბეჭდა 19 აგვისტოს ჟურნალი აიკინმა და დაიხურა 7 ოქტომბერს 13 ფურცლად.

ბიბლიოთეკა

2018-19 წლის სასწავლო წლის სტატისტიკა:

- წიგნი - 664
- პერიოდიკა - 49
- რიდერი - 10
- სამაგისტრო შრომები - 77
- ელ. ვერსიები - 163.

მიმდინარე წლის განმავლობაში ბიბლიოთეკის ფონდიდან მკითხველზე გაცემულია 4546 წიგნი.

წლის განმავლობაში, ბიბლიოთეკაში გაწევრიანდა 150 მკითხველი.

2018 წელს უნივერსიტეტი გახდა გამომწერი საქართველოს საკანონმდებლო მაცნესი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე ყველა დაინტერესებულ პირს აძლევს საშუალებას გაეცნოს საკანონმდებლო ცვლილებებს უახლესი ჩასწორებებით.

მიმდინარე წელს, კვლავ განახლდა სამეცნიერო ბაზა EBSCO -სთან ხელშეკრულება, რაც გულისხმობს მთელი წლის განმავლობაში წვდომას სამეცნიერო ელექტრონულ ბაზაზე.

2018 წლიდან უნივერსიტეტს აქვს წვდომა ელექტრონულ სამეცნიერო ბაზა HeinOnline თან, მსოფლიოში აღიარებული, სამართლებრივი რესურსების ბაზა.

2018 წელს ბიბლიოთეკარმა, ნანა ფაილოძემ მონაწილეობა მიიღო ტრენინგში „EBSCO day in Georgia 2018“, უნივერსიტეტმა მოიპოვა დროებითი წვდომა ბაზაზე: Business Source Ultimate.

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის, ბიბლიოთეკამ საკონსულტაციო შეხვედრა ჩაატარა 2018-2019 წლის საშემოდგომო სემესტრში, 17 სექტემბერს (17.09.2018) შეხვედრას ძირითადად ესწრებოდა პირველკურსელები. შეხვედრის დროს ბიბლიოთეკარმა ინფორმაცია მიაწოდა დამსწრე საზოგადოებას, თუ როგორ შეძლებენ მათთვის სასურველი ლიტერატურის მოძიებას. აჩვენა “Open Biblio” - ლიტერატურის მოძიება როგორ ხდება. ისაუბრა ბიბლიოთეკის სარგებლობის წესზე, ბიბლიოთეკის ფუნქციებზე, სამუშაო გრაფიკზე. ბიბლიოთეკარმა გააცნო უნივერსიტეტში ჩართული სამეცნიერო ელექტრონული ბაზების შესახებ ინფორმაცია. ისაუბრა EBSCO -ს ბაზაზე, თუ როგორ შეძლებენ მათთვის სასურველი ინფორმაციის მოძიებას. HeinOnline - ს ბაზაზე მიაწოდა

ინფორმაცია, თუ როგორ უნდა გამოიყენონ. აგრეთვე, მიაწოდა ინფორმაცია, რომ უნივერსიტეტი არის საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალური გამომწერი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია უახლესი საკანონმდებლო ცვლილებების ნახვა.

ხარისხის მართვის სამსახური

სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის მართვის სამსახურის მიზანია სწავლის, სწავლებისა და კვლევის შესაბამისი გარემოს მაღალი დონის უზრუნველყოფისთვის უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხის მუდმივი ამაღლება და მომხმარებელთა მოთხოვნილებებზე მორგება. ამ მიზნით სამსახური მნიშვნელოვან როლს ასრულებს უნივერსიტეტის მასშტაბით საგანმანათლებლო პროდუქტების ხარისხის გაუმჯობესებაში, მუდმივ სრულყოფასა და მონიტორინგში. დასახელებული მიზნების მისაღწევად, სამსახურს შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები, რომელთა შესაბამისად იგი გეგმავს თავის საქმიანობას, განსაზღვრავს სასწავლო უნივერსიტეტის საქმიანობის შესამოწმებელ ასპექტებს და სისტემატურად ახორციელებს საგანმანათლებლო საქმიანობის სხვადასხვა სექტორის შეფასებას შემუშავებული გეგმისა და კრიტერიუმების შესაბამისად. მიღებული შედეგების ანალიზის შედეგად სამსახური ანგარიშს წარუდგენს შესაბამის ორგანოს და განსაზღვრავს შემდგომ სამოქმედო ნაბიჯებს გამოვლენილი სუსტი მხარეების სრულყოფისა და ძლიერი მხარეების შენარჩუნების მიზნით.

2018-2019 სასწავლო წელს ხარისხის მართვის სამსახურის მიერ განხორციელებული

აქტივობები:

2018-2019 სასწავლო წლის მანძილზე ხარისხის მართვის სამსახურის მიერ განხორციელებული აქტივობები მოიცავს კომპლექსურად როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაცია/რეაკრედიტაციის პროცესს, ავტორიზაციის განმავითარებელი შეფასების ფარგლებში უნივერსიტეტში ჩატარებულ სამუშაოებს და ხარისხის სამსახურის მიზნებთან უშუალოდ დაკავშირებულ სხვა ძირითად აქტივობებს. კერძოდ,

ხარისხის მართვის სამსახურის უშუალო მონაწილეობით:

- სასწავლო უნივერსიტეტში რეაკრედიტაციის პროცესი წარმატებით გაიარა შემდეგმა საგანმანათლებლო პროგრამებმა:
 1. სამართლის სამაგისტრო პროგრამა;
 2. ბიზნესის ადმინისტრირების (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო პროგრამა;
 3. ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა;

4. სამართლის საბაკალავრო პროგრამა;
 5. თეოლოგიის საბაკალავრო პროგრამა;
 6. თეოლოგიის სამაგისტრო პროგრამა.
- ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისა და უნივერსიტეტს შორის დადებული მემორანდუმის საფუძველზე განხორციელდა განმავითარებელი ავტორიზაციის პროცესი. კერძოდ, ორგანიზება გაეწია ავტორიზაციისთვის პროცესს, შეიქმნა ახალი მარეგულირებელი დოკუმენტები, შეივსო თვითშეფასების ფორმა და მოხდა განაცხადის წარდგენა. ამის პარალელურად, ავტორიზაციის ელექტრონულ სისტემაში - qms.eqe.ge-ზე აიტვირთა თვითშეფასების ფორმა და მასზე თანდართული დოკუმენტაცია.
 - აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისად შემუშავდა ახალი საბაკალავრო პროგრამები და მოხდა სააკრედიტაციო განაცხადის წარდგენა შემდეგ პროგრამებზე:
 1. ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა;
 2. სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამა;
 3. პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამა.
 - მომზადდა საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა და სააკრედიტაციო განაცხადი წარედგინა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.
 - უნივერსიტეტში მოქმედი შიდა ხარისხის მექანიზმების შესაბამისად განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამების პერიოდული შეფასება და მონიტორინგი. კერძოდ, ჩატარდა შემდეგი სახის გამოკითხვები:
 1. სტუდენტების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება;
 2. აკადემიური/მოწვეული პერსონალის/სტუდენტის მიერ გარემოს შეფასება;
 3. სტუდენტის მიერ ლექტორის შეფასება;
 4. აკადემიური/მოწვეული პერსონალის თვითშეფასება;
 5. სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელის შეფასება;

6. აკადემიური-მოწვეული პერსონალის კითხვარი სასწავლო პროგრამის მონიტორინგისთვის;

7. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების რაოდენობრივი ინდიკატორები.

აღნიშნული გამოკითხვებიდან მიღებული მონაცემების შედეგად მომზადდა შესაბამისი ანგარიშები და დასკვნები.

- მომზადდა და წარედგინა ცენტრს :
 1. 2019-2020 სასწავლო წლის საერთო სამაგისტრო გამოცდების ანკეტა-კითხვარი;
 2. 2019-2020 სასწავლო წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების ანკეტა-კითხვარი;
 3. 2020-2021 სასწავლო წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების ელექტონული ანკეტა-კითხვარი.
- საბაუნის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებთან ჩატარდა სამუშაო შეხვედრები და ტრენინგები;
- ავტორიზაცია- აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისად მოდიფიცირდა მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამები და სასწავლო კურსები;
- 2018-2019 სასწავლო წლის განმავლობაში ორგანიზება გაეწია და ჩატარდა 13 აკადემიური საბჭო.

სტუდენტურ საქმეთა სამსახური

სულხან-საბა ორბელიანის სტუდენტურ საქმეთა სამსახურს აქვს ორი ძირითადი მიმართულება: სტუდენტების კარიერული ზრდა და განვითარება; სტუდენტური ღონისძიებები, რომელთა ფარგლებშიც სამსახური ახორციელებს არაერთ აქტივობას. აქტივობებში ჩართული არიან საბაუნის სტუდენტები.

- 2018 წლის სექტემბერში დაიწყო ინდივიდუალური შეხვედრები საბაუნის ახალწვეულებთან. პირველკურსელთა რეგისტრაციის პერიოდში მიმდინარეობდა აქტიური შეხვედრები პირველკურსელებთან, რომელთაც მიეწოდებოდათ ინფორმაცია კარიერული ზრდისა და ხელშეწყობის სამსახურისა და აქტიური სტუდენტური ცხოვრების შესახებ.

- 2018 წლის ოქტომბერში დაიგეგმა გასვლითი ღონისძიება ყაზბეგში, რომლის ფარგლებშიც სტუდენტები ესტუმრნენ Rooms Hotel-ს, შეხვდნენ მის გენერალურ მენეჯერს, რომელმაც გაუზიარა თავისი გამოცდილება სასტუმროსა და ტურიზმის მენეჯმენტზე (ინფორმაცია აქტივობის შესახებ იხილეთ ლინკზე: https://docs.google.com/forms/d/e/1FAIpQLSd0L5IOHOYhoPaJR_XSVToX4P5-FjSGB7qqkmVkO_HsgC3ecg/closedform)

- 2018 წლის ოქტომბერში გამოცხადდა საგრანტო კონკურსი „ერთი იდეა მაქვს“, რომლის ფარგლებშიც საბაუნის სტუდენტებს ჰქონდათ შესაძლებლობა დაეწერათ პროექტები და მიეღოთ მინიმუმ 300 ლარიანი დაფინანსება (ინფორმაცია აქტივობის შესახებ იხილეთ ლინკზე: <https://www.facebook.com/Sulkhansabauniversity/photos/a.325379070826569/2093136330717492/?type=3&theater>)

- 2018 წლის ოქტომბერში საბაუნის ბიუჯეტიდან გამოიყო გარკვეული თანხა კლუბებისა და თვითმმართველობის წახალისების პროგრამისთვის. პროგრამის ფარგლებში უნივერსიტეტში არსებულ ყველა კლუბსა და თვითმმართველობას შეუდგინდა ბიუჯეტი 1000 ლარის ოდენობით. (ინფორმაცია აქტივობის შესახებ იხილეთ ლინკზე: <https://www.facebook.com/Sulkhansabauniversity/photos/a.325379070826569/2092106124153846/?type=3&theater>)

- 2018 წლის ოქტომბერში განხორციელდა პროექტი პირველკურსელთათვის - დაიწყო აქტიური სტუდენტური ცხოვრება! საბაუნის ახალწვეულებს ჩაუტარდათ 6 კვირიანი პროექტი, რომლის ფარგლებშიც მათ უკეთესად გაიცნეს ერთმანეთი, ჩაერთვნენ სხვადასხვა პროექტში, თავადაც დაგეგმეს პროექტები და ა.შ.
- 2018 წლის ოქტომბერში ჩატარდა ლიბერთი ბანკის დასაქმების ფორუმი, რომლის ფარგლებშიც ლიბერთი ბანკის წარმომადგენლები შეხვდნენ საბაუნის სტუდენტებს და გააცნეს მიმდინარე ვაკანსიები. (ინფორმაცია აქტივობის შესახებ იხილეთ ლინკზე: [https://www.facebook.com/events/249550969070127/](https://www.facebook.com/Sulkhansabauniversity/posts/2122614874436304?__xts__[0]=68.ARBIGIiIRD5x97k5DqWFLTPaKWEUwd0hVLj30poD7mSunb5ZmoXs_A2Je5sg7OMtWG3IXlQZvivqzoinZTXXC9hCZR15Nw7dLUrMHWJEeY6gvjUnN_mBlC3R7uiU7kBYCRStmjExfBVd3LbucjpBUz-3t8ZAt0mjePAsPbCcWy-9-VoP1kWNVbRngyFRwNXXAd-_mpQu8Iuziy8JGuExxriCSpyKAtay-ogLqiL2y0IOT6m3Qf1OF4lIbH1vpuL76XsN1GCGCTbagSsn_zHuHcloqt7GMU-n2r4d4eRW8XU8XwMhAvbxKB2LW4q_5qripUt9&__tn__=-R)
• 2018 წლის ოქტომბერში საბაუნიში შეიქმნა დასაქმების კუთხეების კონცეფცია, რაც გულისხმობს უნივერსიტეტში დამსაქმებლებისთვის სივრცის გამოყოფას. ეს აქტივობა მიმდინარეა და ხორციელდება სულ
• 2018 წლის ნოემბრის დასაწყისში აღინიშნა ჰელოუინის დღესასწაული, რომელიც გასართობ ხასიათს ატარებდა. (ინფორმაცია აქტივობის შესახებ იხილეთ ლინკზე: <a href=))
- 2018 წლის ნოემბერში დაიწყო ფაკულტეტების კოორდინატორების პროგრამა. საბაუნის სტუდენტებისთვის გამოცხადდა ვაკანსია ფაკულტეტების კოორდინატორების პოზიციაზე, რომლის ფარგლებშიც კარიერული ზრდისა და ხელშეწყობის სამსახურში დასაქმდა 3 სტუდენტი. პროექტის მთავარ მიზანს წარმოადგენდა ადმინისტრაციასა და სტუდენტებს შორის კომუნიკაციის გაღრმავება და გაუმჯობესება. (ინფორმაცია აქტივობის შესახებ იხილეთ ლინკზე: <https://www.facebook.com/Sulkhansabauniversity/photos/a.325379070826569/2160880033943121/?type=3&theater>)
- 2018 წლის ნოემბერში დაიწყო კარიერული კონსულტაციების სერვისი. სტუდენტურ საქმეთა სამსახური რეგულარულად აწარმოებს კარიერული კონსულტაციების სერვისს,

რომლის ფარგლებშიც საბაუნის ნებისმიერ სტუდენტს შეუძლია მოვიდეს და კონკრეტული პრაქტიკული რჩევები მიიღოს კარიერული ზრდისა და განვითარების მიმართულებით. ამ პროექტის ფარგლებში სტუდენტები სწავლობენ CV-ს შედგენასა და სამოტივაციო წერილის წერას, სამსახურის თანამშრომლების დახმარებით უკავშირდებიან დამსაქმებლებს და იღებენ რჩევებს, როგორ მოძებნონ სასურველი სამსახური, როგორ მოიქცნენ გასაუბრებაზე და ა.შ. (ინფორმაცია აქტივობის შესახებ იხილეთ ლინკზე: <https://www.facebook.com/Sulkhansabauniversity/photos/a.325379070826569/2122688177762307/?type=3&theater>)

- 2018 წლის ნოემბერში საბაუნის სტუდენტები ჩაერთვნენ სისხლის ბანკის უანგარო დონაციის პროგრამაში. საბაუნის სტუდენტებს მიეცათ შესაძლებლობა მოეხდინათ სისხლის უანგარო დონაცია სისხლის სახელმწიფო ბანკისთვის. ღონისძიებაში ჩაერთო 40 სტუდენტი.
- 2018 წლის ნოემბერში დაიწყო საბაუნის მოსწავლეთა აკადემია დანაშაულის პრევენციის ბენეფიციარებისთვის. პროექტის ფარგლებში საბაუნის სტუდენტები ტრენინგებს უტარებდნენ დანაშაულის პრევენციის ცენტრის ბენეფიციარებს თავიანთი ფაკულტეტების შესაბამისად. სტუდენტებმა მიიღეს ჯგუფის მართვის, ტრენინგის ჩატარებისა და ადამიანებთან ურთიერთობის დიდი გამოცდილება. ღონისძიების დასრულების შემდეგ მათ გადაეცათ საბაუნისა და დანაშაულის პრევენციის ცენტრის ერთობლივი სერტიფიკატი.
- 2018 წლის 17 ნოემბერს საბაუნის ადინიშნა სტუდენტთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება. (აქტივობის შესახებ ინფორმაცია იხილეთ ლინკზე: <https://www.facebook.com/Sulkhansabauniversity/photos/a.325379070826569/2165870050110786/?type=3&theater>)
- 2018 წლის დეკემბერში ჩატარდა სტუდენტთა კარიერული კვლევა. საბაუნის კარიერული ზრდისა და ხელშეწყობის სამსახურის ინიციატივით ჩატარდა კვლევა, რომლის მიზანი იყო დასაქმების/თვითდასაქმების მიმართულებით სტუდენტების ინტერესების, საჭიროებებისა და დამოკიდებულებების განსაზღვრა.
- 2018 წლის 19 დეკემბერს გაიმართა საჯარო ლექცია „როცა მხოლოდ სწავლა გამოსავალი არაა, როგორ მივაღწიოთ წარმატებას“. საბაუნის სამართლის

სტუდენტებისთვის ჩატარდა საჯარო ლექცია. ლექციას უძღვებოდნენ პროფესორი სერგი ჯორბენაძე და პროკურორი ნათია მუხიაშვილი. სტუდენტებმა პრაქტიკული მაგალითების დახმარებით გაიგეს მეტი, როგორ შეუძლიათ მიაღწიონ წარმატებას სამართლის მიმართულებით. (ინფორმაცია აქტივობის შესახებ იხილეთ ლინკზე: <https://www.facebook.com/events/1924632374511125/>)

- 2018 წლის 28 დეკემბერს გაიმართა საახალწლო ღონისძიება საბაუნის სტუდენტებისთვის. (ინფორმაცია აქტივობის შესახებ იხილეთ ლინკზე: <https://www.facebook.com/events/577161296060890/>)

- 2019 წლის 2 თებერვალს ჩატარდა HR-ფორუმი - 2019. ღონისძიებაზე მოწვეულნი იყვნენ უნივერსიტეტისა და კომპანიების HR დეპარტამენტის წარმომადგენლები. ღონისძიების მიზანი იყო პრობლემის იდენტიფიცირება დასაქმების ბაზარზე, მისი მოგვარების გზების ძიება და სტუდენტებისთვის დასაქმებაში ხელშეწყობა. ღონისძიებაზე შედგა სამუშაო ჯგუფები, რომელთა დასკვნის შედეგად შემუშავდა გზამკვლევი, რომელიც მოგვიანებით ყველა ჩართულ პირს გაეგზავნა.

- 2019 წლის 20 მარტიდან 4 აპრილის ჩათვლით მიმდინარეობდა კარიერული განვითარების კურსის 1-ლი ნაკადის გადამზადება. კურსის განმავლობაში სტუდენტებმა აითვისეს დასაქმებისთვის და კარიერული განვითარებისთვის საჭირო უნარ-ჩვევები. შეხვდნენ სხვადასხვა მსხვილი კომპანიის HR-ებს, რომელთაც გაუზიარეს თავიანთი გამოცდილება და მისცეს რჩევები. (ინფორმაცია აქტივობის შესახებ იხილეთ ლინკზე: <https://www.facebook.com/events/585702495246419/>)

- 2019 წლის 25 აპრილიდან სემესტრის ბოლომდე მიმდინარეობდა საუნივერსიტეტო სტაჟირების პროგრამის მე-3 ნაკადის გადამზადება. საბაუნის სტუდენტებს ჰქონდათ შესაძლებლობა სტაჟირება გაეკეთათ 8 სხვადასხვა მიმართულებით. (ინფორმაცია აქტივობის შესახებ იხილეთ ლინკზე: <https://www.facebook.com/Sulkhansabauniversity/photos/a.325379070826569/2369338496430606/?type=3&theater>)

- 2019 წლის აპრილში ჩატარდა ტრენინგი „საჯარო გამოსვლის ხელოვნება“. ტრენინგის განმავლობაში სტუდენტებმა ისწავლეს ეფექტური პრეზენტაციისა და საჯარო გამოსვლების ტექნიკები.

- 2019 წლის 5 მაისს მოეწყო გასვლითი ღონისძიება ლოპოტაზე (Wings for life – world tun) საბაუნის სტუდენტები ყოველ წელს მონაწილეობენ ამ საქველმოქმედო მარათონში. (ინფორმაცია აქტივობის შესახებ იხილეთ ლინკზე: <https://bit.ly/318ap1U>)
- 2019 წლის 10 მაისს დაიწყო სტაჟრება დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრში. პროგრამის ფარგლებში საბაუნის სტუდენტებს ჰქონდათ შესაძლებლობა აქტიურად ჩართულიყვნენ ცენტრის C ჰეპატიტის პროგრამის პიარ კამპანიაში, რის შემდეგაც მათ შეეძლოთ სტაჟირების გავლა ცენტრის 5 სხვადასხვა დეპარტამენტში. (ინფორმაცია აქტივობის შესახებ იხილეთ ლინკზე: <https://www.facebook.com/Sulkhansabauniversity/photos/p.2378723692158753/2378723692158753/?type=1&theater>)
- 2019 წლის მაისში განახლდა მოხალისეობის პროგრამა კარიტასში, რომელიც მიმდინარეობს რეგულარულად. საბაუნის სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ჩაერთონ საქართველოს კარიტასის მიერ დაგეგმილ სხვადასხვა სოციალურ/საზოგადოებრივ აქტივობაში, დაეხმარონ მათ, ვისაც ეს სჭირდება და თავიანთი წვლილი შეიტანონ სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაში.
- 2019 წლის 16 მაისიდან 13 ივნისამდე მიმდინარეობდა კარიერული განვითარების კურსის მე-2 ნაკადის გადამზადება. კურსის განმავლობაში სტუდენტებმა აითვისეს დასაქმებისთვის და კარიერული განვითარებისთვის საჭირო უნარ-ჩვევები. შეხვდნენ სხვადასხვა მსხვილი კომპანიის HR-ებს და გაიზიარეს მათი გამოცდილება და რჩევები.
- 2019 წლის 1 ივნისს ჩატარდა იმიტირებული გამოძიება და სასამართლო პროცესი. პროექტის განმავლობაში სტუდენტები ჩაერთვნენ საგამოძიებო და სასამართლო სიმულაციურ პროცესებში.
- 2019 წლის ივნისში ჩატარდა კონკურსი „სამართლის კარის თამაშები“. კონკურსის განმავლობაში სტუდენტები ერთმანეთს სამართლებრივი კაზუსების ამოხსნაში ეჯიბრებოდნენ.
- 2019 წლის 10-დან 12 ივლისის ჩათვლით სტუდენტურ საქმეთა სამსახურის ორგანიზებით მოეწყო ლიდერთა ბანაკი 2019. ბანაკი მიმდინარეობდა ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ ტყე-პარკში. პროექტის მიზანი იყო საუნივერსიტეტო ცხოვრების

გამრავალფეროვნება, სტუდენტების პიროვნული და კარიერული განვითარების ხელშეწყობა.

იურიდიული სამსახური

იურიდიული სამსახურის/იურისტის ძირითადი სამუშაო დატვირთვა მოიცავს, რექტორის აქტების (სტატუსის შეჩერება, შეწყვეტა, აღდგენა, მობილობა, აკადემიური შვებულება, აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადება, საკონკურსო კომისიის შექმნა, მივლინება, აკადემიური თანამდებობის დაკავება, დისციპლინური პასუხისმგებლობის შეფარდების შესახებ ბრძანებები და სხვ.), ხელშეკრულებების, მემორანდუმების შემუშავებას, დისციპლინური კომისიის სხდომებში მონაწილეობის მიღებას.

№	შემუშავდა	ცვლილებები შევიდა
1		ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების წესი
2		აქტი - უნივერსიტეტის ორგანიზაციულ სტრუქტურასა და სამუშაო აღწერილობებში
3	აქტი - ქართული, გერმანული და შედარებითი კერძო სამართლის ცენტრი	
4	აქტი - დანაშაულისა და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ცენტრი	
5	აქტი - უცხო ენების ცენტრი	
6	განვითარების კვლევების ინსტიტუტი	
7		ავტორიზაციისა და აკრედიტაციის თვითშეფასების ჯგუფის შექმნის წესი
8		აფილირების წესი
9	სამაგისტრო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, შესრულებისა და შეფასების წესი	

10	მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი	
11		აფილირების წესი
12	ეკლესიის სოციალური სწავლების ცენტრის დებულება	
13	ენერგეტიკის სამართლისა და კლიმატის ცვლილებების ინსტიტუტის დებულება	
14		აქტის მომზადება - უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულებისა და ცალკეული პერსონალის სამუშაო აღწერილობები
15	ადამიანის უფლებების კლინიკის დებულება	
16	თანამშრომელთა შერჩევისა და დასაქმების წესი	
17	უნივერსიტეტის ახალი თანამშრომლების ადაპტაციის პროცედურები	
18	ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის სამუშაოს შეფასების წესი	
19	თეოლოგიისა და ფილოსოფიის კვლევითი ცენტრის დებულება	
20	რეორგანიზაციის აქტი	
21	პლაგიატის პრევენციის, აღმოჩენისა და პლაგიატზე რეაგირების წესის	
22	2018-2019 სასწავლო წლის სტიპენდიების გაცემის წესი	

საზოგადოებასთან ურთიერთობის და მარკეტინგის სამსახური

2018-2019 სასწავლო წელს სამსახურის ძირითადი აქტივობები მიმდინარეობდა რამდენიმე მიმართულებით, კერძოდ: სხვადასხვა საიმიჯო აქტივობები, ცნობიერების ასამაღლებლად, სოციალური მედიის გამართვა და მისი მუდმივი რეპორტიინგი, სასკოლო პროექტები, სტუდენტური ცხოვრების აღბეჭდვა და საზოგადოებისთვის გაცნობა, სტატისტიკა და ივენთების ორგანიზება.

სასკოლო პროექტი: იმიტირებული პროცესი მოსწავლეებისთვის, სულხან-საბა ორბელიანის გაცოცხლება, მისი ნახატი რეგიონებში, სარეკლამო გვერდი ცნობარში და აჭარანეტში, პირველკურსელების წვეულება და გამოსაშვები სადამო, სოციალურ მედიაში პოსტიინგი (საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებისთვის, ზოგადი #წარმატებული სტუდენტებისთვის), პროფესორების წარმოჩენა, პასუხი ნათესავების კითხვაზე რა უნდა გამოხვიდე, პროექტი როცა სწავლა გწყურია და ა.შ. დაწვრილებით აქტივობების შესახებ კვარტლების მიხედვით.

ღონისძიებები
#საბაუნისსტუდენტი
#ჩემიმომავალიპროფესია - იურისტი - დიმიტრი გეგენავა
#იყავიშემოქმედი - კოტე იანტბელიძე
იმიტირებული პროცესი აბიტურიენტებისთვის
რუბრიკა #სტუდენტTOUR თავგადასავლები
წიგნის ბუდე
სულხან-საბა ორბელიანი რეგიონებში
სულხან-საბა ორბელიანის გაცოცხლება
ახალი გვერდი 088 სიბრძნე სიმართლისა
სულხან-საბა ორბელიანი თავისუფლებაზე - 26 მაისი
საბაუნის სტუდენტებს ულოცავენ 26 მაისს მეგობრები უცხოეთიდან
პასუხი ნათესავების კითხვაზე - რა უნდა გამოხვიდე?
შეხვედრების ციკლი აბიტურიენტებთან
იდების ფესტივალი
საერთაშორისო წიგნის ფესტივალი
სულხან-საბას გაცოცხლება მარკეტერზე
საბაუნის ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი პროგრამა
გადაწერე სიბრძნე სიცრუისა

საბაუნიდან წაღებული აქვს დიდი ოდენობით ცოდნა
როცა სწავლა გწყურია
ღია კარის დღეები სამაგისტრო პროგრამებზე
ლაივ ჩართვა სამაგისტრო პროგრამებზე
ლექტორების selfe
კურსდამთავრებულების წვეულება 2019